

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საზოგადოებრივი მაუწყებელი  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2016 წლის 19 აგვისტო

№ 184

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2016 წლის 29 ივლისის №168 ბრძანებაში  
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევო კოდექსი“ 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2016 წლის 29 ივლისის №168 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ, ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
“2. არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, რადიოარხებზე: FM102.4 და FM100.9 განისაზღვროს დღეში არაუმეტეს 10 წამის ოდენობით თითოეული არაკვალიფიციური სუბიექტისთვის 19:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე.  
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2016 წლის 19 აგვისტოდან და მოქმედებს 2016 წლის 1 ოქტომბრამდე.“
2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორის მოვალეობის  
დროებით შემსრულებელი



სერგო გვარჯალაძე